# თავიდან მოიშორეთ ამბიციები!

**მითითებები:** ეს სავარჯიშო მშვიდ გარემოში გააკეთე. ბიბლიური მუხლების კითხვისას წარმოიდგინე, რომ მოვლენები შენ თვალწინ ვითარდება. რას ხედავ? რა გესმის? რას იგრძნობდი მოქმედ პირთა ადგილზე?

**მოქმედი პირები:** დავითი, აბესალომი და იოაბი.

**მოკლე მიმოხილვა:** აბესალომმა სცადა, მამა ტახტიდან ჩამოეგდო და თავად გამეფებულიყო.

## ❶ *წარმოიდგინე, რა გარემოში ვითარდება მოვლენები. წაიკითხე 2 სამუელის 14:25—33; 15:1—17; 18:9—17, 30—33.*

თქვენი აზრით, როგორ გამოიყურებოდა აბესალომი? (*კიდევ ერთხელ წაიკითხე 2 სამუელის 14:25, 26*). ______________________________

______________________________

თქვენი აზრით, როგორ ექცეოდა და ელაპარაკებოდა აბესალომი მეფესთან სამართლის საძიებლად მისულ ხალხს, როცა მათი გულის მოგება სურდა? (*კიდევ ერთხელ წაიკითხე 2 სამუელის 15:2—6*). ______________________________

რას ვიგებთ აბესალომზე იმ შემთხვევიდან, რომელიც 2 სამუელის 14:28—30-შია ჩაწერილი?

______________________________

______________________________

## ❷ *გამოიკვლიე*

რა გააკეთა აბესალომმა სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად? (მინიშნება: წაიკითხე 2 სამუელის 13:28, 29. ამნონი დავითის უფროსი ვაჟი და, შესაბამისად, ტახტის მემკვიდრე იყო). ______________________________

______________________________

მიუხედავად იმისა, რომ აბესალომი ამბიციური იყო და დიდების მოხვეჭის სურვილით იყო შეპყრობილი, როგორ მოექცა ხალხი მის ცხედარს სიკვდილის შემდეგ? (*კიდევ ერთხელ წაიკითხე 2 სამუელის 18:17*) ______________________________

______________________________

შენი აზრით, რატომ გახდა აბესალომი ამბიციური? (შედარებისთვის წაიკითხე, რა არის ნათქვამი დიოტრეფეზე 3 იოანეს 9 და 10-ში). ______________________________

______________________________

______________________________

როგორ იმოქმედა დავითზე აბესალომის საქციელმა? (მინიშნება: წაიკითხე მე-3 ფსალმუნი, რომელიც დავითმა აბესალომის ამბოხების დროს დაწერა). ______________

______________________________________________

______________________________________________

### 3 მოიქეცი ნასწავლის შესაბამისად. ჩამოწერე, რაც ისწავლე . . .

იმაზე, თუ რატომ არის საშიში ამბიციურობა?

______________________________________________

იმაზე, თუ რა ტკივილი შეიძლება მიაყენოს ადამიანმა თავისი საქციელით სხვებს, მათ შორის, მშობლებს? ______

______________________________________________

### საფიქრებელი კითხვები

როგორ შეიძლება გახდე ამბიციური?

______________________________________________

______________________________________________

როგორ შეგიძლია თავი დაიცვა იმისგან, რომ ამპარტავნობის სენით არ დაავადდე?

______________________________________________

______________________________________________

### 4 რა იყო შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ბიბლიური მონაკვეთიდან, და რატომ?

______________________________________________

______________________________________________

**რჩევა:** წარმოიდგინე, როგორ შეიძლებოდა დამთავრებულიყო ეს ამბავი. როგორ შეიძლება განვითარებულიყო მოვლენები, აბესალომი ამბიციური კი არა, თავმდაბალი რომ ყოფილიყო? (იგავები 18:12).



www.jw.org © 2012 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania